



212

31/01/ 2015

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების
ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის უფროსს
ბატონ ზურაბ აზნაურაშვილს

ბატონო ზურაბ,

თქვენს მიერ 2014 წლის 25 დეკემბერს გამოგზავნილი #2412/57 წერილის შესაბამისად და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი დემოკრატები“-ს 2014 წლის საფინანსო დეკლარაციას აუდიტორული ფორმების დასკვნებთან და ბანკის მიერ გაცემულ ამონაწერებთან ერთად.

დანართი: „ 116 „ ფურცლად

პატივისცემით,

ირაკლი ალასანია

თავმჯდომარე





საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011748980371714

მისამართი: თბილისი 0102 ქმ. ნიკოლოზის წ. ჩხეიძის ქ. 2, www.nareg.gov.ge

ტელეფონი: 2 405 405, 08 009 099 00

266246

19 / დეკემბერი / 2014 წ.

გადაწყვეტილება

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „თავისუფალი დემოკრატების“
ცვლილებით რეგისტრაციის შესახებ

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე, 23-ე და 24-ე მუხლებისა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიების) რეგისტრაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 18 ივნისის N103 ბრძანების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ

გადაწყვიტა:

1. რეგისტრირებულ იქნეს ცვლილებით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი დემოკრატები“.
2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარესთან (მისამართი: ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/წ. ჩხეიძის ქ. N2).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების
რეგისტრაციის სამსახურის უფროსი

მანანა ცინაძე



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011785125907815

მისამართი: თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ს. ჩხეიძის ქ. 2; www.napr.gov.ge;

ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

6003

13 / იანვარი / 2015 წ.

მოქალაქე სანდრო კარტოზიას

/მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.
პირველი შესახვევი N3, ბ.239/

ბატონო სანდრო,

თქვენი 2015 წლის 12 იანვრის განცხადების (საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი: 12.01.2015 წ.; რეგისტრაციის ნომერი: 4080/17) პასუხად გეგზავნებათ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრიდან მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „თავისუფალი დემოკრატები“ შესახებ ამონაწერი:

სახელწოდება: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი დემოკრატები“

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №27

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები): პარტიის თავმჯდომარე, გენერალური მდივანი (წარმომადგენლობის შეზღუდვა წესდების ფარგლებში), პოლიტიკური მდივანი (წარმომადგენლობის შეზღუდვა წესდების ფარგლებში)

პარტიის თავმჯდომარე: ირაკლი ალასანია

გენერალური მდივანი: ალექსი პეტრიაშვილი

პოლიტიკური მდივანი: ნინო გოგუაძე

რეგისტრაციის თარიღი: 21.08.2009 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ბრძანების ნომერი: 175

ცვლილების რეგისტრაციის თარიღი: 26.12.2012 წ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების ნომერი: 202107

ცვლილების რეგისტრაციის თარიღი: 19.12.2014წ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების ნომერი: 266246


რეგისტრაციის ნომერი: 209

პატივისცემით,

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების
რეგისტრაციის სამსახურის უფროსი

მანანა ცინაძე

შ.პ.ს. "აუდიტი XXI"



L.T.D. "AUDIT XXI"
O.O.O "АУДИТ XXI"

საჯარო სექტორის აუდიტორის სერტიფიკატი № 0059 მოქმედებს ვადა 14.05.2019 წ.
აუდიტორული საქმიანობის სერტიფიკატი № N5425 მოქმედებს ვადა 01.11.2018 წ.

ქ.თბილისი, კრწანისის ქ. N 161 ტელ. 593 24 41
ქ.დ.ქს. ტელ. 2 72 01 69

აუდიტორული დასკვნა

ფინანსური ანგარიშგების შესახებ

დამკვეთი: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "თავისუფალი დემოკრატები"
შემსრულებელი: შპს "აუდიტი XXI"

ქ.თბილისი
2015 წ.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “თავისუფალი დემოკრატებსა” და შპს “აუდიტი XXI” შორის 2015 წლის 16 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩატარდა პოლიტიკური გაერთიანება “თავისუფალი დემოკრატების” ფინანსური საქმიანობის აუდიტი. რომელშიც შედის 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ბალანსი, აღნიშნული თარიღით დასრულებული საწევრო შენატანებისა და შემოწირულობების ანგარიშგება, შემოსავლების მ.შ. საარჩევნო კამპანიის ფონდის შემოსავლების შესახებ ანგარიშგება, ხარჯების მ.შ. საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ანგარიშგება, სსიპ “საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან” მიღებული სახსრებით გაწეულ ხარჯებზე ანგარიშგება, საბალანსო ანგარიშგება, საბანკო ანგარიშებზე ანგარიშგება, არაფინანსურ აქტივებზე ანგარიშგება და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაცია.

პოლიტიკური გაერთიანება “თავისუფალი დემოკრატების” ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს ამ პოლიტიკური გაერთიანების ფინანსურ ანგარიშგებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლის იმგვარად განხორციელებაზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავდეს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მოსაზრების გამოთქმა წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარვმართავდი დამოუკიდებელი აუდიტორი ეთერი გოგია,(რომელიც ვფლობ საჯარო სექტორის აუდიტორის სერტიფიკატს №0059 გაცემის თარიღი 14.05.2014წ.), აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. რაც მოითხოვს, დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და ჩავატაროთ აუდიტი, რათა მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმასა რომ, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობებს, აუდიტის სტანდარტების შესაბამისად გათვალისწინებული იქნა აგრეთვე ის გარემოებები, რაც სპეციფიკურია არასამეწარმეო იურიდიული პირებისათვის კერძოდ, საკანონმდებლო წყაროებთან შესაბამისობისა და სხვა ნორმატიული აქტების გამოყენების საკითხები, ხელისუფლებისა და სახელმწიფო ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევის საკითხები.

აუდიტი ითვალისწინებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ აუდიტორული მტკიცებულობების მოსაპოვებლად პროცედურების ჩატარებას, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რამდენად შესაფერისია შიდა კონტროლი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მისი სამართლიანი წარდგენისათვის.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს პოლიტიკური გაერთიანება “თავისუფალი დემოკრატების” ფინანსურ საქმიანობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,ფულადი სახსრების მოძრაობას საანგარიშო წლისათვის. ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე შედგენილ იქნა აუდიტორული დასკვნა, აუდიტორულ დასკვნას თან ერთვის აუდიტორული შემოწმების ანგარიში, რომელიც ამ დასკვნის განუყოფელი ნაწილია.

შპს “აუდიტი XXI” აუდიტორი:



ეთერი გოგია

ეთერი გოგია

ანგარიში

პოლიტიკური გაერთიანება “თავისუფალი დემოკრატების” აუდიტორული შემოწმების შედეგები 2015 წლის I იანვრის მდგომარეობით შესავალი

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “თავისუფალი დემოკრატები” არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფილობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლი 31 ოქტომბერს მიღებული ორგანული კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ანხორციელებს საქართველოს კონსტიტუციის და კანონმდებლობის ფარგლებში.

პარტია არის არასამეწარმეო იურიდიული პირი, მასზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ის მოთხოვნები, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანულ კანონს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ.

პოლიტიკური გაერთიანება “თავისუფალი დემოკრატები” რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს №175 ბრძანების საფუძველზე 2009 წლის 21 აგვისტოს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2014 წლის 19 დეკემბერს განხორციელებული ცვლილების საფუძველზე პარტიის თავმჯდომარეა ირაკლი ალასანია, გენერალური მდივანი ალექსი პეტრიაშვილი, პოლიტიკური მდივანი ნინო გოგუაძე.

2010 წლის 1 მაისიდან პარტიის მთავარი ბუღალტერია ნაზიკო სხულუხია.

მპკ “თავისუფალი დემოკრატები” საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს სს “თიბისი” ბანკში 2009 წლის 1 ოქტომბრიდან ლარში GE61TB1908736080100003/GEL, აშშ დოლარში GE78TB1908736180100004/USD, ევროში GE78TB1908736180100004/EUR, ფუნტ სტერლინგში GE78TB1908736180100004/GBP.

2009 წლის 18 სექტემბრიდან სს ბანკი რესპუბლიკაში ლარის ანგარიშზე GE07BR0000010217931114/GEL, აშშ დოლარის ანგარიშზე GE07BR0000010217931114/USD, ევროს ანგარიშზე GE07BR0000010217931114/EUR, ფუნტ სტერლინგის ანგარიშზე GE07BR0000010217931114/GBP.

პარტიის ქონებას ქმნის:

1. საწევრო შენატანები.
2. შემოწირულობები.
3. კანონით დადგენილ შემთხვევებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები.
4. სიმბოლიკის დამზადებითა და გაერცელებით, ლექციების, გამოფენებისა და სხვა საჯარო ღონისძიებების მოწეობით, აგრეთვე საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავალი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მინიმალური საბაზო დაფინანსების ოდენობას.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “თავისუფალი დემოკრატების” საბანკო ანგარიშებზე ფულადი სახსრების ნაშთი 2014 წლის I იანვრისთვის შეადგენდა 54087 ლარს, საკასო შემოსავლებმა შეადგინა 723114 ლარი (მ.შ. ბიუჯეტიდან მიღებულმა დაფინანსებამ შეადგინა 562669 ლარი, ხოლო კოალიციის სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების ფონდში, ჩარიცხული დაფინანსება შეადგენდა 160445 ლარს).

2014 წელს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “თავისუფალი დემოკრატების” ფულადი სახსრების გასაგაღმა შეადგინა 617784 ლარი, საარჩევნო პერიოდში კოალიციის ფონდიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 146148 ლარი, კონვერტაციის ხარჯი 482 ლარი, მთლიანი ფულადი სახსრების გასაგაღია 764414 ლარი.

საწვერო შენატანები და შემოწირულობები

პოლიტიკური გაერთიანება "თავისუფალი დემოკრატებს" 2014 წელს აღნიშული სახის შემოსავლები არ მიუღია.

შემოსავლები

საარჩევნო კამპანიის ფონდის გარდა

პარტიის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიის მიერ არჩევნებში მიღებული საარჩევნო ხმების შესაბამისად .საბიუჯეტო დაფინანსების სახით მიღებული თანხა შედგება საბაზო ნაწილის, პროპორციული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრისათვის გამოყოფილი დანამატისა და მიღებული ხმების რაოდენობის შესაბამისი კომპონენტისაგან. საქართველოს ორგანული კანონის 30 მუხლის შესაბამისად გათვალისწინებული საბიუჯეტო დაფინანსების გარდა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გადაირიცხება თანხა ფონდში, რომლის მიზანიცაა პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

2014 წლის დასაწყისისათვის პოლიტიკური გაერთიანება "თავისუფალი დემოკრატებს" საბანკო ანგარიშებზე ნაშთი ლარში შეადგენდა 54087 ლარს, დოლარის ანგარიშზე 66 დოლარს, ევროს ანგარიშზე 102 ევროს, ფაქტობრივმა შემოსავალმა შეადგინა 723123 ლარი. მ.შ. საბიუჯეტო დაფინანსებიდან მიღებულია 642277 ლარი, ხოლო სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან 80837 ლარი.

საარჩევნო კამპანიის ფონდის შემოსავლები

პოლიტიკური გაერთიანება "თავისუფალი დემოკრატებს" 2014 წელს აღნიშული სახის შემოსავლები არ მიუღია..

ხარჯები

(საარჩევნო კამპანიის ფონდისა და სსიპ საარჩევნო სისტემის განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან მიღებული სახსრების ხარჯების გარდა)

პარტიის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.1%-ს. აღნიშნულ ოდენობაში შედის სახელმწიფო აუდიტის მიერ დადგენილი ხარჯები და პარტიის სასარგებლოდ სხვა პირის მიერ გაწეული ხარჯები.

2014 წელს გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 431913 ლარი.მ.შ. შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 160990 ლარი,(მ.შ. ხელფასი-124742 ლარი, პრემია 36248 ლარი) საქონლის შეძენასა და მომსახურებაზე გაწეულმა დანახარჯებმა შეადგინა 225745 ლარი (მ.შ მიველინებების ხარჯი-910 ლარი, ოფისის ხარჯი- 46885 ლარი , ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის, მათი მოვლა-შენახვის ხარჯები-27903 ლარი (მ.შ. საწვავ-საცხები მასალების შეძენის ხარჯები-24235 ლარი, მიმდინარე რემონტის ხარჯები- 3668 ლარი), ბანკის საკომისიო-940 ლარი,რეკლამის ხარჯები-0 ლარი, სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების მოწყობის ხარჯები-4382 ლარი, აუდიტორული მომსახურების ხარჯი-7500 ლარი, უძრავი ქონების იჯარის ხარჯი-107522 ლარი, სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯი 29703 ლარი, დამხმარე ხასიათის საქმიანობისათვის გაწეული ხარჯები-18219 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა-26959 ლარი).

საკანცელარიო საქონლის, საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის ხარჯებმა შეადგინა 7065.62 ლარი, რაზედაც წარმოდგენილია შეძენისა და ხარჯვის დოკუმენტები. შენობის მიმდინარე რემონტის (სანტექნიკის და ელექტროობის შეკეთება) ხარჯებმა შეადგინა 779 ლარი.

ბ).კაეშირგაბმულობის ხარჯები შეადგენს 12817.55 ლარს. აღნიშნული მომსახურების ღირებულება შესყიდულია შპს "მაგთიკომისაგან" კორპორატიულ ნომრებზე გაწეული მობილური სატელეფონო მომსახურებით.

გ).საფოსტო მომსახურების ხარჯი შეადგენს 0 ლარს.

დ).კომუნალური ხარჯი შეადგენს 13306 ლარს (ელექტროენერჯის -3002.5 ლარი, წყლის ხარჯი-1822.5 ლარი, აირის ხარჯი-8194 ლარი, სხვა კომუნალური ხარჯი-287 ლარი).

ე).არაკლასიფიცირებული ოფისის ხარჯები შეადგენს 12917 ლარს (საინფორმაციო მომსახურების ხარჯები, რაც გადახდილია მედია საშუალებებზე)

ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის, მათი მოვლა-შენახვის ხარჯები შეადგენს 27903 ლარს. 2014 წელს შეძენილია 12462 ლიტრი ბენზინის საწვავი, პარტიის კუთვნილი ავტომანქანების რემონტის დანახარჯმა შეადგინა 3668 ლარი.

ბანკის მომსახურების საკომისიო შეადგენს 940 ლარს.

რეკლამის დანახარჯი შეადგენს 0 ლარს.

სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების მოწყობის ხარჯები-4382 ლარი (შპს "ჯი-ემ-თი სასტუმროების" მომსახურება).

2014 წლის იჯარის გადასახადი შეადგენს 107522 ლარს.

მგპ "თავისუფალი დემოკრატებს" 2014 წლის 7 აგვისტოს ხელშეკრულების თანახმად საოფისე და ადმინისტრაციული საქმიანობის მიზნით იჯარით აღებული აქვს ერთი წლის ვადით 15.42 კვ.მ ფართი დაბა წყნეთში, რუსთაველის ქ.№3ა-ში, I შენობა-ნაგებობის II სართულზე შპს "წყნეთისაგან"(ს/კ 204893179), ყოველთვიური იჯარის გადასახადია 150 ლარი.

მგპ "თავისუფალი დემოკრატებს" 2013 წლის 22 მაისის საიჯარო ხელშეკრულების თანახმად ორი წლის ვადით იჯარით აღებული აქვს 48 კვ.მ სასაწყობე ფართი შპს "პიკაჯეოსაგან"(ს/კ 205172230), ყოველთვიური იჯარის გადასახადია 240 ლარი.

მგპ "თავისუფალი დემოკრატებს" 2012 წლის 19 ნოემბერის შპს "საერთაშორისო სახლთან (ს/კ 404401831)"გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების თანახმად იჯარით აღებული აქვს 239 კვ.მ საოფისე ფართი ქ.თბილისში, თაბუკაშვილის №27-ში 2015 წლის 20 მაისამდე. ყოველთვიური იჯარის გადასახადი შეადგენს 4100 დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება შეადგენს 29703 ლარს (მ.შ.საზოგადოებასთან ურთიერთობის მომსახურების ღირებულება-5000 ლარი, მომსახურება მრჩეველის რანგში -2900 ლარი, დამკვეთის მიერ კონფერენციის დაგეგმვის და ორგანიზების, მასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების ღირებულება 17646 ლარი, მედიასთან და პრესასთან ურთიერთობისას მომსახურების ღირებულება-3750 ლარი, გერბის დამზადების ღირებულება-932 ლარი, საბუღალტრო მომსახურება 2000 ლარი, ვიზაჟისტის მომსახურება 375 ლარი)

დამხმარე ხასიათის საქმიანობისათვის გაწეული ხარჯები შეადგენს 18219 ლარს (მ.შ.ევროპის ლიბერალური და დემოკრატიული პარტიების ალიანსის საწევრო გადასახადი 17776 ლარი, ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან-443 ლარი)

არაფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს 26959 ლარს (მ.შ. ავეჯისა და ინვენტარის შეძენის ხარჯები-19670 ლარი, სხვა მატერიალური მარაგების შეძენის ხარჯები-7289 ლარი)

საარჩევნო კამპანიის ფონდის ხარჯები

2014 წელს ამ მუხლით გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 70492 ლარი. მ.შ. შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 31961 ლარი, (მ.შ. ხელფასი-28836 ლარი, პრემია 3125 ლარი) საქონლის შეძენასა და მომსახურებაზე გაწეულმა დანახარჯებმა შეადგინა 38531 ლარი (მ.შ მივლინებების ხარჯი-441 ლარი, ოფისის ხარჯი- 8542 ლარი , ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის, მათი მოვლა-შენახვის ხარჯები-5280ლარი, სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების მოწყობის ხარჯები-330, ლარი, აუდიტორული მომსახურების ხარჯი-3000 ლარი, უძრავი ქონების იჯარის ხარჯი-18120 ლარი, სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯი 2654 ლარი, რეკლამის ხარჯები 164 ლარი).

ოფისის ხარჯები შეადგენს 8542 ლარს მ.შ. ა)საკანცელარიო საქონლის, საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის ხარჯებმა შეადგინა 1042 ლარი, რაზედაც წარმოდგენილია შეძენისა და ხარჯვის დოკუმენტები.

ბ).კავშირგაბმულობის ხარჯები შეადგენს 5916 ლარს. აღნიშნული მომსახურების ღირებულება შესყიდულია შპს "მაგთიკომისაგან" კორპორატიულ ნომრებზე გაწეული მობილური სატელეფონო მომსახურებისათვის.

გ).კომუნალური ხარჯი შეადგენს 1584 ლარს (ელექტროენერჯის -913 ლარი, წყლის ხარჯი-577 ლარი, სხვა კომუნალური ხარჯი 94 ლარი).

ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის, მათი მოვლა-შენახვის ხარჯები შეადგენს 5280 ლარს. 2014 წელს შეძენილი საწვავის ღირებულება 4280 ლარს, პარტიის კუთვნილი ავტომანქანების რემონტის დანახარჯმა შეადგინა 1000 ლარი.

რეკლამის დანახარჯი შეადგენს 164 ლარს. სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების მოწყობის ხარჯები- 330 ლარი (შპს "ჯი-ემ-თი სასტუმროების" მომსახურება).

2014 წლის იჯარის გადასახადი შეადგენს 18120 ლარს.

მგპ "თავისუფალი დემოკრატებს"2014 წლის 7 აგვისტოს ხელშეკრულების თანახმად საოფისე და ადმინისტრაციული საქმიანობის მიზნით იჯარით აღებული აქვს ერთი წლის ვადით 15.42 კვ.მ ფართი დაბა წყნეთში, რუსთაველის ქ.№3ა-ში, I შენობა-ნაგებობის II სართულზე შპს "წყნეთისაგან"(ს/კ 204893179), ყოველთვიური იჯარის გადასახადია 150 ლარი.

მგპ "თავისუფალი დემოკრატებს" 2013 წლის 22 მაისის საიჯარო ხელშეკრულების თანახმად ორი წლის ვადით იჯარით აღებული აქვს 48 კვ.მ სასაწყობე ფართი შპს "პიკაჯეოსაგან"(ს/კ 205172230), ყოველთვიური იჯარის გადასახადია 240 ლარი.

მგპ "თავისუფალი დემოკრატებს" 2012 წლის 19 ნოემბერის შპს "საერთაშორისო სახლთან (ს/კ 404401831)"გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების თანახმად იჯარით აღებული აქვს 239 კვ.მ საოფისე ფართი ქ.თბილისში, თაბუკაშვილის №27-ში 2015 წლის 20 მაისამდე. ყოველთვიური იჯარის გადასახადი შეადგენს 4100 დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება შეადგენს 2654 ლარს (კონფერენციის დაგეგმვისა და ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულება).

სსიპ “საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრიდან” მიღებული სახსრებით გაწეული
ხარჯები

2014 წელს გაწეული ხარჯების ჯამმა შეადგინა 115379 ლარი.

აღნიშნული ხარჯი გაწეული იქნა 2014 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებში კონფერენციებისა და ყრილობის ჩასატარებლად ამ მიზნით გაწეული ხარჯებიდან არასისტემური მეთოდით შეირჩა გაწეული ხარჯების შემდეგი მუხლები:

1. შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი 15000 ლარი.
 2. ი/მ მეგი ვახტანგიშვილი 900 ლარი
 3. შპს “თამარიონი-2002” 14290 ლარი.
 4. შპს “ლენკომპანი” 25100 ლარი
 5. შპს “დეგაპრინტი” 1000 ლარი.
 6. სს “გამოფენის ცენტრი” 12096.81 ლარი.
 7. სატრანსპორტო მომსახურება 6238 ლარი.
1. შპს “თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი”(ს/კ203836625) და მგპ “თავისუფალი დემოკრატებს” შორის 2014 წლის 3 ნოემბერს დადებულ იქნა ხელშეკრულება 2014 წლის 8 ნოემბერს დარბაზში პარტიის ყრილობის ჩასატარებლად. დარბაზის მომსახურების ღირებულება ერთი დღის განმავლობაში შეადგენდა 15000 ლარს. გაწეულ მომსახურებაზე წარმოდგენილია 2014 წლის 12 ნოემბერს ანგარიშ-ფაქტურა ეა-03 №1870445.
 2. ი/მ მეგი ვახტანგიშვილსა (ს/კ 20001002958) და მგპ “თავისუფალი დემოკრატებს” შორის 2014 წლის 8 ნოემბერს ურთიერთშორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ყრილობის მოსაწყობად დაგეგმილი ღონისძიებისათვის მიაწოდა 180კვ/მ იატაკის საფენი, რაზედაც ი/მ მეგი ვახტანგიშვილს წარმოდგენილი აქვს სასაქონლო ზედნადები ელ№0143819777 900 ლარზე 2014 წლის 7 ნოემბერს.
 3. 2014 წლის 29 ოქტომბერს შპს “თამარიონი-2002-სა”(ს/კ 204438787) და მგპ “თავისუფალი დემოკრატებს” შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს “თამარიონი 2002”-მა მგპ “თავისუფალი დემოკრატებს” მიაწოდა 14290 ლარის ღირებულების სხვადასხვა საქონელი ყრილობის საჭიროებისათვის (დოკუმენტაციები, საწერი კალმები წარწერებით, დროშები, აღმები, ბლანკები), რაზედაც წარმოდგენილია 2014 წლის 19 ნოემბერს ა/ფ ეა04 0755749 თანხაზე 3800 ლარი, 2014 წლის 6 ნოემბერს ა/ფ ეა-04 0557136 თანხაზე 9700 ლარზე. 2014 წლის 31 ოქტომბერს ა/ფ ეა-04 0415603 თანხაზე 160 ლარი, 2014 წლის 29 ოქტომბერს ა/ფ ეა04 0358206 თანხაზე 210 ლარი, 2014 წლის 29 ოქტომბერს ა/ფ ეა04 0358202 თანხაზე 850 ლარზე.
 4. 2014 წლის 3 ნოემბერს შპს “ლენკომპანი”(ს/კ 404860673) და მგპ “თავისუფალ დემოკრატებს” შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ყრილობის გასამართავად სხვადასხვა სამუშაოების(თეთრი საფარის მონტაჟი-დემონტაჟი, ხმის დამთვლელი მაგიდის მოწყობა, ცენტრალური ტრიბუნის მოწყობა, კონსტრუქციების დონეების შეფუთვა, კიბეებით პოდიუმის დამზადება, მათი მონტაჟი დემონტაჟი. აღნიშნულ მომსახურებაზე წარმოდგენილია 2014 წლის 10 ნოემბერს ა/ფ ეა-04 0624272 თანხაზე 25100 ლარზე.

5. 2014 წლის 5 ნოემბერს სსაქონლო ზედნადები ელ-0143456419 შპს “დგა პრინტი” მიერ მოწოდებულ იქნა 4 ცალი სარეკლამო პლაკატი სადგამით 1000 ლარის ღირებულებით.
6. 2014 წლის 9 ოქტომბერს სს “გამოფენის ცენტრსა”(ს/კ 201990104) და მგპ “თავისუფალი დემოკრატებს” შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ქ.თბილისში,წერეთლის გამზირის №118, გამოფენის ცენტრის №3 პავილიონში პარტიის მიერ ორგანიზებული პრეზენტაციის ჩატარებას. აღნიშნული მომსახურების გაწევა დასტურდება 2014 წლის 12 ოქტომბერს ორმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით. შესრულებული მომსახურების ღირებულებაზე 5377.34 ევროს შესაბამისად წარმოდგენილია ანგარიშ-ფაქტურა ეა03 1222127 თანხაზე 12096.81 ლარი.
7. სატრანსპორტო მომსახურების ღირებულება ითვალისწინებდა რეგიონებიდან პარტიის წევრების ჩამოყვანას 2014 წლის 8 ნოემბერს ყრილობაზე დასასწრებად და მათ უკან ტრანსპორტირებას დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებებით. გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 6238 ლარი. ხარჯვაზე წარმოდგენილია ხელშეკრულებები და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები.

საბალანსო ანგარიშგება

2014 წლის პირველი იანვრისათვის აქტივების ჯამი შეადგენდა 256245 ლარს მ.შ.ფინანსური აქტივებისა და სხვა დებიტორული დავალიანებების ჯამი შეადგენდა 78548 ლარს, არაფინანსური აქტივების ჯამი 177697 ლარს.

2015 წლის პირველი იანვრისათვის აქტივების ჯამია 187290 ლარი. მ.შ.ფინანსური აქტივებისა და სხვა დებიტორული დავალიანებების ჯამია 29158 ლარი, არაფინანსური აქტივების ჯამი 158132 ლარი.

2014 წლის პირველი იანვრისათვის ვალდებულებების და კაპიტალის ჯამია 256245 ლარი (მ.შ.ფინანსური ვალდებულებების და სხვა კრედიტორული დავალანებების ჯამი შეადგენდა 160940 ლარს, კაპიტალი 95305 ლარს)

2015 წლის პირველი იანვრისათვის ვალდებულებების და კაპიტალის ჯამია 256245 ლარი (მ.შ.ფინანსური ვალდებულებების და სხვა კრედიტორული დავალანებების ჯამი შეადგენდა 148579 ლარს, კაპიტალი 38711 ლარს)

აქტივები

საბანკო ანგარიშები

საბანკო ანგარიშზე GEGGE61TB1908736080 1000 03/gel სს თიბისი ბანკში წლის დასაწყისისათვის ნაშთი შეადგენდა 54087.18 ლარს. 2014 წელს ბანკში შემოსულმა თანხამ შეადგინა 686753.21 ლარი. ბანკის გასაგაღია 728052.70 ლარი. ნაშთი 2015 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 12787.69 ლარს.

საბანკო ანგარიშზე GGE61TB1908736080 1000 03/usd თიბისი ბანკში დოლარის ანგარიშზე ნაშთი შეადგენდა 66.07 დოლარს, აღნიშნულ ანგარიშზე მოძრაობა არ განხორციელებულა.

საბანკო ანგარიშზე GGE61TB1908736080 1000 03/euro თიბისი ბანკში ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 102 ევროს, 2014 წელს ბანკში სალარე ანგარიშიდან განხორციელდა 7600 ევროს კონვერტაცია. გასაგაღმა შეადგინა 7398 ევრო,აღნიშნული თანხიდან 7253 ევროს გადარიცხვა განხორციელებულია ქბრიუსელში ევროპის ლიბერალური და დემოკრატიული პარტიების ალიანსის ანგარიშზე, რაც წარმოადგენს პარტიის საწევრო გადასახადს აღნიშნულ ალიანსში.

საბანკო ანგარიშზე ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 304 ევროს.

2014 წელს სს “ბანკი რესპუბლიკა” საბანკო ანგარიშებზე ფულადი სახსრების მოძრაობა არ განხორციელებულა.

დებიტორული დავალიანებები

გადახდილი დღე 2014 წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 167 ლარს. აღნიშნულ გადასახადში ცვლილება არ განხორციელებულა.

წინასწარ გადახდილი საიჯარო გადასახადი 2014 წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 16156 ლარს. 2015 წლის 1 იანვრისათვის 7475 ლარს.

სხვა წინასწარ გადახდილი მოთხოვნები წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 2046 ლარს, 2015 წლის 1 იანვრისათვის 2182 ლარს.

სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები 2014 წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 5734 ლარს. აღნიშნული დავალიანება წარმოადგენს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დასაბრუნებელ თანხას, დავალიანება წლის ბოლოსათვის არ შეცვლილა.

არაფინანსური აქტივები

2014 წლის 1 იანვრისათვის სატრანსპორტო საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენდა 42569.36 ლარს, კომპიუტერული და სხვა ტექნიკური მოწყობილობების საბალანსო ღირებულება შეადგენდა 56953.35 ლარს. ავეჯი და სხვა ინვენტარის ღირებულება შეადგენდა 11365.81 ლარს. სხვა მატერიალური მარაგების(საკანცელარიო, მცირეფასიანი, მარაგნაწილები) ღირებულება შეადგენდა 65395 ლარს.

2015 წლის 1 იანვრისათვის სატრანსპორტო საშუალებების საბალანსო ნარჩენი ღირებულება შეადგენდა 29404.62 ლარს, კომპიუტერული და სხვა ტექნიკური მოწყობილობების საბალანსო ღირებულება შეადგენდა 30923.8 ლარს. ავეჯი და სხვა ინვენტარის ღირებულება შეადგენდა 23894.1 ლარს. სხვა მატერიალური მარაგების(საკანცელარიო, მცირეფასიანი, მარაგნაწილები) ღირებულება შეადგენდა 72684 ლარს.

2014 წლის 1 იანვრისათვის არაწარმოებული აქტივების საბალანსო ღირებულება შეადგენს 1414 ლარს, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 1225 ლარს.

ვალდებულებები და კაპიტალი ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

2014 წლის 1 იანვრისათვის ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები შეადგენდა 160940 ლარს, 2015 წლის 1 იანვრისათვის 148579 ლარს. წლის დასაწყისისათვის მკპ “თავისუფალი დემოკრატიების” კაპიტალის ნაშთი შეადგენდა 95305 ლარს, წლის ბოლოსათვის 38711 ლარს.

2014 წლის 1 იანვრისათვის მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები შეადგენდა 142222 ლარს.

ა). საქონლის და მომსახურების მოწოდებიდან 41591.93 ლარი. აღნიშნულ ვალდებულებაში 41471.64 ლარი არის მანისურების ღირებულება, რომელიც მიღებულია 2012 წლის 8 აგვისტოს თურქული კომპანიიდან, 120.29 წარმოადგენდა მიმდინარე ვალდებულებებს.

2015 წლის 1 იანვრისათვის საქონლის და მომსახურების მოწოდების ვალდებულებაა 42464.61 ლარი. თურქული კომპანიის მიმართ დავალიანება არ შეცვლილა, ხოლო მიმდინარე შეადგენს 992.97 ლარი.

ბ). 2014 წლის 1 იანვრისათვის მოკლევადიანი ვალდებულებების ჯამი შეადგენდა 16334.1 ლარს. აღნიშნულ დავალიანებაში შპს “მაესტროზე” რიცხული დავალიანება 12600 ლარი წარმოადგენს 2011 წლამდე წარმოშობილ ვალდებულებას. მიმდინარე ვალდებულება შეადგენდა 3734.1 ლარს

2015 წლის 1 იანვრისათვის მოკლევადიანი ვალდებულებების ჯამი შეადგენს 14772.14 ლარს, შპს “მაესტროს” მიმართ დავალიანება არ შეცვლილა, ხოლო მიმდინარე შეადგენს 2172.14 ლარს.

გ). 2014 წლის 1 იანვრისათვის სხვა ვალდებულებების ჯამი შეადგენდა 28781.74 ლარს. აღნიშნულ დავალიანებაში 11478.37 ლარი, რომელიც ირიცხება ფონდი “მომავალს ვქმნით დღეს” მიმართ, წარმოშობილია 2011 წლამდე, ხოლო მიმდინარე ვალდებულება შეადგენდა 17303.37 ლარს.

2015 წლის 1 იანვრისათვის სხვა ვალდებულებების ჯამი შეადგენს 11995.03 ლარს, აღნიშნულ დავალიანებაში ფონდი “მომავალს ვქმნით დღეს” დავალიანება არ შეცვლილა, ხოლო მიმდინარე ვალდებულება შეადგენს 516.66 ლარს.

დ). 2014 წლის 1 იანვრისათვის შტატგარეშე მომუშავეთა მიმართ დავალიანება შეადგენდა 55514.23 ლარს. აღნიშნული დავალიანება წარმოშობილია 2012 წლის ივნისის თვეში.

2015 წლის 1 იანვრისათვის შტატგარეშე მომუშავეთა მიმართ დავალიანება შეადგენს 54951.01 ლარს.

2015 წლის 1 იანვრისათვის მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილმა ვალდებულებებმა შეადგინა 124182.79 ლარი.

2014 წლის დასაწყისისათვის გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი შეადგენდა 18618 ლარს, 2015 წლის 1 იანვრისათვის 13738 ლარს.

2014 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის მიმართ სხვა ვალდებულებები ირიცხება 100 ლარი. 2015 წლის 1 იანვრისათვის 10658 ლარი.

2014 წელს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “თავისუფალი დემოკრატები” სალაროში ნაღდი ფულით ანგარიშსწორების ოპერაციები არ უფიქსირდება.

2014 წელს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “თავისუფალი დემოკრატები”ს არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება გაიზარდა 19565 ლარით.

2014 წელს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “თავისუფალი დემოკრატებს” შენობა-ნაგებობები არ ერიცხება.

2014 წელს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “თავისუფალი დემოკრატებს” ერიცხება მსუბუქი მაღალი გამავლობის ტოიოტას მარკის სატრანსპორტო საშუალებები: 1. პრადო სახ.№ OVO680

2. RAV4 სახ № JLJ106

2014 წელს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “თავისუფალი დემოკრატებს” იჯარით აღებული სატრანსპორტო საშუალებები და სხვა მოძრავი ქონება არ ერიცხება.

2014 წელს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “თავისუფალი დემოკრატებს” რაიმე სახის სესხის გამოყენება არ უფიქსირდება.



აუდიტორი:

Handwritten signature in blue ink.

ეთერი გოგია



შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საიდენტიფიკაციო № 211344188. ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge, www.tsodnisa.ge
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50

რეგისტრაციის № I-280115

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი დემოკრატების“
01.01.2014-31.12.2014 პერიოდის საფინანსო ანგარიშგების შესახებ

1. დამოუკიდებელი აუდიტური კომპანიის – შპს „ცოდნისა“-ს მიერ ჩატარებული იქნა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი დემოკრატების“ (შემდგომში – **პარტია**) 01.01.2014-31.12.2014 პერიოდის საფინანსო ანგარიშგების აუდიტი №12/2012-ა 01.02.2012 წ. ხელშეკრულების თანახმად. **პარტია** დარეგისტრირებულია 2009 წ. 21 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის №175 ბრძანებით, გაცემულია სარეგისტრაციო მოწმობა №209. ახლანდელი იურიდიული მისამართი: თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №27. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი № 205287526.

2. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა ისე, რომ მიგველო დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე. აუდიტი ასევე გულისხმობს **პარტიის** მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების სისწორის შეფასებას. აუდიტისათვის წარმოდგენილი სააღრიცხვო დოკუმენტების და საანგარიშგებო მონაცემების სისრულეზე და სინამდვილეზე პასუხისმგებლობა აკისრია ზემოთაღნიშნული **პარტიის** ხელმძღვანელობას. ჩვენს პასუხისმგებლობას შეადგენს ის, რომ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ აზრი მოცემული ანგარიშგების უტყუარობაზე.

3. აუდიტის შედეგების მიხედვით, ვადასტურებთ, რომ **პარტიის** 01.01.2014-31.12.2014 პერიოდის საქმიანობა და ბუღალტრული აღრიცხვა შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან. ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადები დარიცხულია სრულად. საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე **პარტიის** მიერ მიღებული საბიუჯეტო დაფინანსება, ასევე შემოწირულობების სახით მიღებული ფულადი სახსრები და ქონება შესაბამისობაშია „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნებთან. მიღებული დაფინანსების გამოყენება ხდება კანონის შესაბამისად. წარმოდგენილი წლიური საფინანსო დეკლარაცია და ანგარიში შემოწირულობების შესახებ, რომლებიც შედგენილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 17.08.2012 წ. №142/37 ბრძანების მიხედვით, სამართლიანად და უტყუარად ასახავს **პარტიის** მიერ საანგარიშგებო წლის მანძილზე მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებს და მის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს გენერალური
დირექტორი, სერტიფიცირებული აუდიტორი

გიორგი ცერცვაძე

თბილისი, 2015 წლის 28 იანვარი



ფორმა N1 – საწვერო შენატანები და შემოწირულობები
 ფორმა იცხება ქართული შრიფტით (სy/facen), ფონტის ზომა 10

ანგარიშგაღებულ პირის დასახელებს
 მკვ თავისუფალი დემოკრატები

საანგარიშგებო პერიოდი
 01.01.2014-31.12.2014

N	ოპერაციის თარიღი	შემოსავლის ტიპი*	თანხა / ლირებულზე (ლარებში)	ფიზიკური პირის სახელი და გვარი / თურთიდიული პირის დასახელება	პირადი ნომერი / საიდ. კოდი	შემომწირავის საბანკო ანგარიშის ნომერი	შემომწირავის ბანკი	არაფულადი ფორმით ***			დამატებითი ინფორმაცია
								ქონების აღწერილობა ****	მომსახურების მოკლე აღწერილობა	რაოდენობა/ მიზეზი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1											
2											
3											
4											
5											
6											
7											
8											
9											
10											
11											
12											
13											
14											
15											
16											
17											
18											
19											
...											


* შემოსავლის ტიპი-ს ველში იწერება: ფულადი შემოწირულობა, არაფულადი შემოწირულობა, საწვერო შენატანი.

** "ზოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მეორე პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად შემოწირულობის განმარტებით იურიდიული პირის პარტიონები და საბიურო ბიზნესიარბი ონდა იარინ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები.

*** არაფულად შემოსავალში შედის უძრავი და მოძრავი ნივთი, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და მომსახურება. სახელმწიფო აუდიტის საშახური უფლებას იტოვებს გადაამოწმოს შემოწირული ქონების საბაზრო ღირებულზე და მოხდინოს შესაბამისი კორექტირება.

**** მიუთითეთ დეტალური ინფორმაცია ქონების შესახებ (მად.: მიწა, მისი ფართობი, ადგილმდებარეობა, საკადასტრო კოდი და ა.შ); აღნიშნულ ველში იცხება ინფორმაცია შემოწირულობის სახით მორებული ქონების შესახებ.

ხელმოწერები:





ხელმძღვანელი

ბ.ა.



ბუღალტერი (ან
სამსოლდ

ანგარიშვალდებული პირის დასახელება:
 მპგ თავისუფალი დემოკრატიები

N	შემოსავლების ჩამონათვალი	ფაქტობრივი შემოსავალი	საკასო შემოსავალი
1	შემოსავლები	723123	562678
1.1	შემოსავლები ფულადი სახით	723114	562669
1.1.1	საწევრო შენატანები		
1.1.2	შემოწირულებები	0	0
1.1.2.1	შემოწირულებები ფიზიკური პირებისაგან		
1.1.2.4	საჯარო ღონისძიებების მეშვეობით მიღებული შემოწირულებები		
1.1.3	სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები	723114	562669
1.1.3.1	საბიუჯეტო დაფინანსება	642277	481832
1.1.3.2	საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან მიღებული სახსრები	80837	80837
1.1.4	დამხმარე ხასიათის საქმიანობიდან მიღებული სახსრები	0	0
1.1.4.1	სიმბოლიკის გავრცელებით მიღებული შემოსავლები		
1.1.4.2	ლექციებით გამოფენებით და სხვა მსგავსი ღონისძიებების მოწყობით მიღებული შემოსავლები		
1.1.4.3	საგამომცემლო და სხვა საქმიანობით მიღებული თანხები		
1.1.4.4	დამხმარე ხასიათის საქმიანობიდან მიღებული სხვა სახსრები		
1.1.5	კომერციული ბანკებიდან მიღებული სესხები/კრედიტები		
1.1.6	სხვა ფულადი შემოსავლები		
1.2	შემოსავლები არაფულადი სახით	9	9
1.2.1	შემოწირულებები ფიზიკური პირებისაგან	0	0
1.2.1.1	შემოწირულებები ფიზიკური პირებისაგან (უძრავი ქონება)		
1.2.1.2	შემოწირულებები ფიზიკური პირებისაგან (მოძრავი ქონება)		
1.2.1.3	შემოწირულებები ფიზიკური პირებისაგან (სხვა)		
1.2.2	სხვა არაფულადი შემოსავლები (მათ შორის მოგება კურსთაშორისი სხვაობებიდან)	9	9
ხელმოწერები:			
			
	ხელმძღვანელი	ბუღალტერი (ან საამისოდ უფლებამოსილი პასუხისმგებელი პირი)	
	ბ.ა.		

ანგარიშვალდებული პირის დასახელება:
 მპგ თავისუფალი დემოკრატები

N	შემოსავლების ჩამონათვალი	ფაქტობრივი შემოსავალი	საკასო შემოსავალი
1	შემოსავლები	0	0
1.1	შემოსავლები ფულადი სახით	0	0
1.1.1	საწევრო შენატანები		
1.1.2	შემოწირულებები	0	0
1.1.2.1	შემოწირულებები ფიზიკური პირებისაგან		
1.1.2.4	საჯარო ღონისძიებების მეშვეობით მიღებული შემოწირულებები		
1.1.3	სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები	0	0
1.1.3.1	საბიუჯეტო დაფინანსება		
1.1.3.2	საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან მიღებული სახსრები		
1.1.4	დამხმარე ხასიათის საქმიანობიდან მიღებული სახსრები	0	0
1.1.4.1	სიმბოლიკის გავრცელებით მიღებული შემოსავლები		
1.1.4.2	ლექციებით გამოფენებით და სხვა მსგავსი ღონისძიებების მოწყობით მიღებული შემოსავლები		
1.1.4.3	საგამომცემლო და სხვა საქმიანობით მიღებული თანხები		
1.1.4.4	დამხმარე ხასიათის საქმიანობიდან მიღებული სხვა სახსრები		
1.1.5	კომერციული ბანკებიდან მიღებული სესხები/კრედიტები		
1.1.6	სხვა ფულადი შემოსავლები		
1.2	შემოსავლები არაფულადი სახით	0	0
1.2.1	შემოწირულებები ფიზიკური პირებისაგან	0	0
1.2.1.1	შემოწირულებები ფიზიკური პირებისაგან (უძრავი ქონება)		
1.2.1.2	შემოწირულებები ფიზიკური პირებისაგან (მოძრავი ქონება)		
1.2.1.3	შემოწირულებები ფიზიკური პირებისაგან (სხვა)		
1.2.2	სხვა არაფულადი შემოსავლები (მათ შორის მოგება კურსთაშორისი სხვაობებიდან)		

ხელმოწერები:


 ხელმძღვანელი

ბ.ა.




 ბუღალტერი (ან საამისოდ უფლებამოსილი პასუხისმგებელი პირი)

ანგარიშვალდებული პირის დასახელება:
 მკ თავისუფალი დემოკრატები

N	ხარჯების ჩამონათვალი	ფაქტობრივი ხარჯი	საკასო ხარჯი
1	ხარჯები	445 520	431 913
1.1	შრომის ანაზღაურება	215 313	160 990
1.1.1	ხელფასები	179 065	124 742
1.1.2	პრემია	36 248	36 248
1.2	საქონელი და მომსახურება	165 471	225 745
1.2.1	მიწის ნაკვეთი	910	910
1.2.1.1	მიწის ნაკვეთი ქვეყნის შიგნით	510	510
1.2.1.2	მიწის ნაკვეთი ქვეყნის გარეთ	400	400
1.2.2	ოფისის ხარჯები	41 106	46 885
1.2.2.1	საკანცელარიო საქონლის, საოფისო ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის, დამონტაჟების და მოვლა-შენახვის ხარჯები	6463	7 065.62
1.2.2.2	საოფისო ავეჯი		
1.2.2.3	შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯები	779	779.00
1.2.2.4	კაპიტალური ხარჯების ხარჯი	9858	12 817.55
1.2.2.5	საფოსტო მომსახურების ხარჯი	92	
1.2.2.6	კომუნალური ხარჯი	11 153	13 306
1.2.2.6	ელექტროენერჯის ხარჯი	1640	3 002.50
1.2.2.6	წყლის ხარჯი	1126	1 822.50
1.2.2.6	ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი	8194	8 194.00
1.2.2.6	სხვა კომუნალური ხარჯი	193	287.00
1.2.2.7	თფისის ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული	12761	12 917.00
1.2.3	წარმომადგენლობითი ხარჯები		
1.2.4	კვების ხარჯები		
1.2.5	სამედიცინო ხარჯები		
1.2.6	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	21 628	27 903
1.2.6.1	საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	18 566	24 235
1.2.6.2	მიმდინარე რემონტის ხარჯი	3 062	3 668
1.2.7	ბანკის მომსახურების ხარჯი	776	940
1.2.8	რეკლამის ხარჯი	0	0
1.2.8.1	სატელევიზიო რეკლამის ხარჯები		
1.2.8.2	ბეჭდური რეკლამის ხარჯები		
1.2.8.3	ინტერნეტ-რეკლამის ხარჯი		
1.2.8.4	ბრენდირებული აქსესუარებით რეკლამის ხარჯი		
1.2.8.5	სხვა სარეკლამო ხარჯები		
1.2.9	სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების მოწყობის ხარჯები	5 352	4 382
1.2.10	საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების		
1.2.11	აუდიტორული მომსახურების ხარჯი	5 250	7 500
1.2.12	შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი		
